# ხელშეკრულება №117
## (გამარტივებული შესყიდვა)

ქ.ამბროლაური 17 ივლისი 2018 წელი

*შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მერის ზვიადი მხეიძის სახით და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი ,,გოჩა ჩორგოლიანი'' (შემდგომში მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. შესყიდვის საგანი

1.1 შესყიდვის საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამაგრილებელი მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, დანართის შესაბამისად **CPV50730000.**

### 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 1640,00(ერთი ათას ექვსას ორმოცი)ლარი, მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

### 3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები .

3.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადაა 5(ხუთი) დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან, მიმდინარე წლის 20 ივლისის ჩათვლით.
3.2 მიწოდების ადგილია ქ.ამბროლაური. ბრატისლავა-რაჭის ქ.11.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებემოსილი პირები.

### 5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებას მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში, ლარში.
5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

### 6 .მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი და წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს საქონლის შეცვლა ან/და ზიანის ანაზღაურება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

### 7 .მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

### 8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**9.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას.

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 აგვისტომდე.

**11. დავების გადაწყვეტის წესი**

11.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.
11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

**12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.**

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
12.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**13. სხვა პირეობები**

13.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თვითოეული გადაეცემა ხელმომწერ მხარეებს.
13.2 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

**14. მხარეთა რეკვიზიტები**

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი |
|---|---|
| ამბროლაურის მუნიციპალიტეტი | ფიზიკური პირი ,,გოჩა ჩორგოლიანი” |
| ქ.ამბროლაური. ბრატისლავა რაჭის ქ.11 | ქ. თბილისი. სანზონა კორპ. 14 ბინა 18 |
| ს/კ №222938490 | პ/ნ 01023007606 |
| სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22 | ს.ს ,,თი ბი სი ბანკი“. TBCBGE22 |
| GE24NB0330100200165022 | GE17TB7146445161600001 |
| ---------------------------------------- | ---------------------------------------- |
| ზვიადი მხეიძე | გოჩა ჩორგოლიანი |

საკრებულოს კონდენციონერების შეკეთების ცხრილი

| N | კონდენციონერის ადგილ-მდებარეობა | კონდენციონერის მარკა | შესრულებული სამუშაო | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტი | MIDEA | მონტაჟი | ცალი | 1 | 150,00 | 150 |
| | | MIDEA | ახალი კომპრესორის ჩადგმა | ცალი | 1 | 100,00 | 100 |
| 2 | ყოფილი საკრებულოს შენობა | MIDEA | დემონტაჟი | ცალი | 1 | 50,00 | 50 |
| 3 | საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების ოთახი | FRESH | ფრეონის ჩამატება | გრ. | 1200 | 0,14 | 170 |
| 4 | ფრაქციის თავმჯდომარის ოთახი (ზაალ მეტრეველი) | FRESH | ფრეონის ჩამატება | გრ. | 1200 | 0,14 | 170 |
| 5 | საკრებულოს აპარატის ოთახი | FRESH | ფრეონის ჩამატება | გრ. | 200 | 0,15 | 30 |
| 6 | ფრაქცია „ამბროლაური" | FRESH | 200 | გრ. | 200 | 0,15 | 30 |
| 7 | ფრაქცია „ოცნება" | FRESH | ფრეონის ჩამატება | გრ. | 1200 | 0,14 | 170 |
| | ჯამი | | | | | | 870 |

შემსყიდველი

მიმწოდებელი

## მერიის კონდენციონერების შეკეთების ცხრილი

| N | კონდენციონერის ადგილ-მდებარეობა | კონდენციონერის მარკა | შესრულებული სამუშაო | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადმინისტრაცია | FRESH | ფრეონის ჩამატება | გრ. | 1200 | 0,14 | 170 |
| | | FRESH | კონდენსატის გამშვების შეცვლა | ცალი | 1 | 45,00 | 45 |
| 2 | სოციალური სამსახური | FRESH | ფრეონის ჩამატება | გრ. | 1200 | 0,14 | 170 |
| | | FRESH | კონდენსატის გამშვების შეცვლა | ცალი | 1 | 45,00 | 45 |
| 3 | მერის მოადგილის კაბინეტი | FRESH | ფრეონის ჩამატება | გრ. | 1200 | 0,14 | 170 |
| 4 | მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება | WHIRLPOOL | ფრეონის ჩამატება | გრ. | 1200 | 0,14 | 170 |
| | ჯამი | | | | | | 770 |

შემსყიდველი

მიმწოდებელი